ხელშეკრულება №16/ს

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
CPV კოდი: 79500000

ქ. თბილისი

2 ნოემბერი 2015წ.

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო, წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ მემანიშვილი სახით (შემდგომში - "დამკვეთი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს "A-Z კონსულტ", წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ბეინბრიჯის სახით (შემდგომში – „შემსრულებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროსთვის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ქალბატონ ხათუნა თოთლაძის განცახდება გაეროს ადამინის უფლებათა საბჭო 23 -ე სესიაზე 10 ნოემბერი, 2015 წელი" ინგლისურ ენაზე, თარგმნა/რედაქტირების მომსახურებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1259 (ათას ორას ორმოცდაცხრამეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „დამკვეთს".

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. „შემსრულებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

3.3 „ შემსრულებელთან " ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 „დამკვეთი" გაწეული მომსახურების თაობაზე „ შემსრულებელთან " ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის, გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, დამკვეთის მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

5. მხარეთა უფლებები

5.1. „ შემსრულებელს " უფლება აქვს:
5.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
5.2 „დამკვეთს" უფლება აქვს:
5.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
5.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „ შემსრულებელი " **ვალდებულია:**
6.1.1 დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული პირობები.
6.1.2. დროულად განიხილოს „დამკვეთის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.2. **„დამკვეთი" ვალდებულია:**
6.2.1. უზრუნველყოს „შემსრულებელთან" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.
6.2.2. დროულად განიხილოს „ შემსრულებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „დამკვეთის" საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

8.1. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.2. დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. „დამკვეთმა“ და „შემსრულებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

9.2. თუ დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ 10 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

11. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) მხარეთა შეთანხმებით.
ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 ინვრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსრულებელთან", ერთი ეგზემპლარი – „დამკვეთთან".

მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი"

სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო
ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. 4
სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი 707307066
საიდენტიფიკაციო №204427753

ნიკოლოზ მემანიშვილი
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს დირექტორი

"შემსრულებელი"

შ.პ.ს "A-Z კონსულტ"
მის:ქ. თბილისი,
დ. ადმაშენებლის გამზ. 154
საინდიფიკაციო კოდი: 202 454 076
„პროკრედიტ ბანკი"
ბ/კ: MIBGGE22
IBAN: GE72PC0323600100003304
დირექტორი
ალექსანდრე ბეინარიჯი

მიღება-ჩაბარების აქტი

№ 01/16

ქ. თბილისი

05 ნოემბერი 2015 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, შპს "A- Z კონსულტ", დირექტორი ალექსანდრე ბეინბრიჯი ერთი მხრივ და სსიპ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს დირექტორი ნ. მემანიშვილი, მეორეს მხრივ, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მომწოდებელმა ხელშეკრულების საფუძველზე, განახორციელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს "საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ქალბატონ ხათუნა თოთლაძის განცახდება გაეროს ადამინის უფლებათა საბჭო 23 -ე სესიაზე 10 ნოემბერი, 2015 წელი" და "საქართველოს მთავრობის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცის ტექსტი 9-10 ნოემბერი, 2015 წელი""- ს თარგმნა/რედაქტირება ინგლისურ ენაზე, რომლის ღირებულება შეადგენს 1 259 (ათას ორას ორმოცდაცხრამეტი) ლარს, რაზედაც ხელს ვაწერთ:

ჩააბარა

ა. ბეინბრიჯი

ჩაიბარა

ნ. მემანიშვილი